

თანასწორობის პოლიტიკა პარტიების
წინასაარჩევნო ხედვებში -2020

EMC

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია პოლიტიკური პარტიების პროგრამებისა და ხედვების პოლიტიკის ანალიზი თანასწორობის მიმართულებით. უფრო ზუსტად, დოკუმენტი დეტალურად მიმოიხილავს და აანალიზებს პარტიების მიერ საარჩევნო პროგრამებში წარმოდგენილ დისკურსებს, ხედვებსა და სტრატეგიებს არადომინანტური რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების უფლებებისა და საჭიროებების, ასევე ქალთა და ლგბტქ ადამიანების უფლებების და კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

მთლიანობაში რჩება განცდა, რომ თანასწორობის პოლიტიკა პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას არ წარმოადგენს და მათი უმეტესობა ზედაპირულ და მეინსტრიმულ პარადიგმებსა და ხედვებს იყენებს. თანასწორობის იდეა პარტიების უმრავლესობისთვის კანონის წინაშე ფორმალური თანასწორობით შემოიფარგლება; პარტიები არ აღიარებენ სხვადასხვა ჩაგრული, გარიყული ჯგუფის მკვეთრად ასიმეტრიულ მდგომარეობას და სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ სამართლიანი პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნის მიზნით სპეციალური ინტერვენციებისა და პოლიტიკების აუცილებლობას. პოლიტიკური პროგრამებისა და ხედვების ზედაპირული ხასიათი კიდევ ერთხელ აჩვენებს იმ პრობლემას, რომ პარტიები ნაკლებ ყურადღებას და ინტერესს იჩენენ უმცირესობების ჯგუფების მიმართ; აღსანიშნავია, რომ პროგრამების შემუშავების პროცესში უმცირესობები არ მონაწილეობდნენ, რაც, თავის მხრივ, პარტიებში სხვადასხვა არადომინანტური სოციალური ჯგუფის დაბალი რეპრეზენტაციის პრობლემას ააშკარავებს. თანასწორობის პოლიტიკის მიმართულებით სახელმწიფო ინსტიტუტების ხანგრძლივი მუშაობისა და გამოცდილების მიუხედავად, პოლიტიკურ პარტიებს არ გაუკეთებიათ განვლილი გზისა და მიღწეული შედეგების კრიტიკული და სტრუქტურული ანალიზი, არ აყენებენ ახალ ალტერნატივებს და ხედვებს. თანასწორობის საკითხებზე სოციალური კონფლიქტებისა და ჩვენს საზოგადოებაში შოვინიზმის, ქსენოფობიის, ისლამოფობიის, ჰომოფობიის მზარდი ტენდენციებისა და ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან ამ განწყობების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების მიუხედავად, პარტიებს არ აქვთ გაცნობიერებული საკუთარი პოლიტიკური პასუხისმგებლობა საზოგადოებაში ემანსიპატორული პოლიტიკური იდეების გაძლიერებისა და თანასწორობის და სოლიდარობის იდეალებზე საზოგადოებრივი კონსენსუსის მშენებლობის გზაზე.

რელიგიის თავისუფლება და რელიგიური უმცირესობების საჭიროებები

წინა წლების მსგავსად, რელიგიის თავისუფლების დაცვის, ამ მხრივ უთანასწორო გარემოს აღმოაფხვრის და რელიგიური უმცირესობების საჭიროებების მხარდაჭერის საკითხები არც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს აისახა პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგსა და პროგრამებში. ეს, ერთი მხრივ, შეიძლება აიხსნას თანასწორობის საკითხების მიმართ დაბალი პოლიტიკური ინტერესით, მეორე მხრივ კი, დომინანტური რელიგიური ინსტიტუციის მიმართ მაღალი პოლიტიკური ლოიალობით – პარტიები რელიგიის თავისუფლების პოლიტიკას, როგორც წესი, მართლმადიდებელი ეკლესიის პრეფერენციების და ფავორიტიზმის პერსპექტივიდან ხედავენ. ეს კრიტიკა განსაკუთრებით მმართველ პარტიას ეხება, რომელიც წინასაარჩევნო პროგრამაში და პროგრამული შინაარსის დოკუმენტებში საერთოდ არ ახსენებს რელიგიის თავისუფლების და თანასწორობის დაცვის საკითხებს.

ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილი ზოგადად აღიარებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის მნიშვნელობას. ზოგიერთ შემთხვევაში აღიარებულია რელიგიის თავისუფლების განუხრელი დაცვის მნიშვნელობაც. თუმცა, ის, თუ კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას რელიგიურ ორგანიზაციებს შორის უთანასწორო გარემოს და დისკრიმინაციული პრაქტიკების აღმოსაფხვრელად და როგორ ხედავენ პარტიები არადომინანტური რელიგიური ჯგუფების წინაშე მდგარ რეალურ გამოწვევებს, ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილის საარჩევნო გეგმებში ასახული არ არის.

წლების განმავლობაში რელიგიური ორგანიზაციები¹, საერთაშორისო ორგანიზაციები² და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ადგილობრივი აქტორები³

¹ სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციების კრებული, 2020 წელი, ხელმისაწვდომია:

http://ombudsman.ge/res/docs/2020092417162834667.pdf?fbclid=IwAR2ayhq_eIUmw_0zVjebxro3NWrxal_fcPDUImWKRfaNcBR91U-emZz4I

ამავე საბჭოს რეკომენდაციების კრებული, 2017 წელი, ხელმისაწვდომია:

http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619908&sub_id=1345202134

² რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მოხსენება საქართველოს შესახებ, 2015 წლის 8 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775> ADVISORY COMMITTEE ON THE FRAMEWORK CONVENTION FOR THE PROTECTION OF NATIONAL MINORITIES. Third Opinion on Georgia1 adopted on 7 March 2019, page: 24, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/3rd-op-georgia-en/1680969b56?fbclid=IwAR0Hzymw9vtSyyIg-54T9muRaAnA4xybJFh1fTVKrQvROxqS7IGX3a0 dybqA>

რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის რეალიზების კუთხით არაერთ მნიშვნელოვან რეკომენდაციაზე უთითებდნენ, მათ შორის აღსანიშნავია საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნება (რესტიტუცია) და დაცვა; რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული დისკრიმინაციული და არადემოკრატიული პრაქტიკების რევიზია; რელიგიური ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული პრაქტიკების აღმოფხვრა; საჯარო სკოლებში სეკულარული და მულტიკულტურული სასწავლო და სოციალური გარემოს შექმნა და სხვ. ცალკე ყურადღებას ითხოვს ბოლო წლებში გამოვლენილი რელიგიური შეუწყნარებლობისა და კონფლიქტების გამოცდილება და მისი პოზიტიური ტრანსფორმაციის საკითხი.

რელიგიის თავისუფლების მიღმა, ჩვენს რეალობაში კიდევ უფრო მწვავედ დგას სხვადასხვა რეგიონში კომპაქტურად და ტრადიციულად მცხოვრები არადომინანტური რელიგიური ჯგუფების კულტურული და პოლიტიკური წარმოჩენის საკითხი, რაც სათანადო პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმას ითხოვს როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე. კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფს შორის დიალოგისა და სოლიდარობის მშენებლობას და ამისთვის კულტურული სივრცეების გაჩენას. სამწუხაროდ, ასეთი საკითხები საერთოდ არ ექცევა პარტიული ჯგუფების პოლიტიკურ ტექსტებში.

ევროპული საქართველოსა და სტრატეგია აღმაშენებლის საარჩევნო პროგრამებში საუბარია დისკრიმინაციული ქმედებების, შუღლის და სიძულვილის გაღვივების დასჯის საკითხებზე, თუმცა, პარტიები არ საუბრობენ ამ პრობლემის ღრმა სოციალურ შრეებზე და მასთან გამკლავების სისტემურ გზებზე. მიუხედავად იმისა, რომ *ევროპული საქართველო* წინასაარჩევნო გამოსვლებში ხშირად ლაპარაკობს სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებზე და მისი დაცვის აუცილებლობაზე, საარჩევნო პროგრამებში არ არის წარმოდგენილი ის ხედვები და გზები, თუ როგორ შეძლებს პარტია ამ მიზნების მიღწევას.

³ რელიგია, პოლიტიკა და სოციალური კონტექსტები - კვლევების, ანგარიშებისა და სტატისტიკის კრებული, EMC, 2020, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/religia-politika-da-sotsialuri-kontekstebi-kvlevis-angarishebis-da-statiebis-krebuli>

რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა, EMC, 2016, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/kvleva-religiis-tavisufleba-sakhelmtsifos-diskriminatsiuli-da-arasekularuli-politikis-kritika>

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში ანგარიში 2010-2019, TDI, ხელმისაწვდომია: https://www.tdi.ge/sites/default/files/tdi-angarishi-religiis_tavisupleba_sakartveloshi_2010-2019.pdf

ერთადერთი ოპოზიციური პარტია, რომელსაც რელიგიური უმცირესობების უფლებების/ინტერესების დაცვის მიმართულებით კონკრეტული ხედვა აქვს წარმოდგენილი საარჩევნო პროგრამაში, არის პარტია *ლელო საქართველოსთვის*. მისი გეგმაა, რომ რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში შეცვალოს უსაფრთხოების პარადიგმებზე დაფუძნებული პოლიტიკური ვექტორი; საფრთხის შემცველად პარტიას არა მათი პოლიტიკაში ჩართულობა, არამედ საზოგადოებრივი და პოლიტიკური სივრცეებიდან არადომინანტური ჯგუფების გარიყვა მიაჩნია. *ლელოს* საარჩევნო პროგრამის ნაწილია შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ასევე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს გაუქმება და მათ ნაცვლად სამოქალაქო თანასწორობის სააგენტოს შექმნა, რომელიც რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე იმუშავებს და მჭიდროდ ითანამშრომლებს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ შესაბამის საბჭოებთან. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს გაუქმება, ერთი მხრივ, პოზიტიური ნაბიჯია რელიგიის თავისუფლების გამტკიცებისკენ, თუმცა, ასევე პრინციპულია ამ უწყების სამუშაო სტრატეგიების და მიდგომების პრობლემურობის სათანადო გააზრება და აღმოფხვრა. სააგენტოს საქმიანობა იმთავითვე რელიგიური ორგანიზაციების უსამართლო იერარქიზებისა და კონტროლისკენ იყო მიმართული; დაფუძნების დღიდან ამ უწყებას არც ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა არ შეუქმნია რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით. მათ შორის, მას არ შეუსრულებია ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომელიც სხვა აქტივობებთან ერთად, კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერების აღმოფხვრის, ასევე საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნების (რესტიტუციის) პოლიტიკის შემუშავებას ითვალისწინებდა. მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუკი პარტია სააგენტოს საქმიანობაში მათთვის კრიტიკულ მიდგომებს დააზუსტებდა და მათი აღმოფხვრის გზებს დასახავდა.

ლელოს საარჩევნო პროგრამაში ასევე საუბარია სადავო რელიგიური საკულტო ნაგებობების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენისა და მოვლა-პატრონობის საკითხებზე. თუმცა, აქ ბუნდოვანია რატომ არ საუბრობს პოლიტიკური ორგანიზაცია რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ამ დავის გადაწყვეტის მექანიზმებზე. ასევე გამოტოვებულია რესტიტუციის პოლიტიკის და საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების საკითხიც, რომელიც დღეს რელიგიური

ორგანიზაციების წინაშე მდგარი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა და ამ საკითხებზე არაერთი დავა მიმდინარეობს, მათ შორის, სასამართლოებშიც. *ლელოს* საარჩევნო პროგრამაში აღნიშნულია, რომ შემოღებული იქნება ერთიანი საგადასახადო დაფინანსების სისტემა ყველა რელიგიური გაერთიანებისთვის, თუმცა, ამ მოდელის აღწერა პროგრამაში დეტალური არ არის და ამ საკითხზე მსჯელობა არც რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების არსებული პრაქტიკების სისტემურ კრიტიკას შეიცავს.

მთლიანობაში აშკარაა, რომ პოლიტიკური პარტიების ინტერესი რელიგიის თავისუფლების და თანასწორობის საკითხების მიმართ სუსტია და არადომინანტური რელიგიური ჯგუფების წინაშე მდგარი გამოწვევები, მათი რეალური საჭიროებები და წუხილები პროგრამებსა და გეგმებში არ ჩანს. მხოლოდ ზოგიერთ პარტიის პროგრამაშია ხედვები და რეკომენდაციები შედარებით უფრო დაწვრილებით წარმოდგენილი. პოლიტიკური ჯგუფების სიჩუმე რელიგიის თავისუფლების საკითხებზე, ზოგადი პოლიტიკური კლიმატის გათვალისწინებით, რომელიც მკვეთრად პოლარიზებულია და შეუძლებელს ხდის სოციალურ ინტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნას, დომინანტური რელიგიური ინსტიტუციის მიმართ პარტიების მაღალი ლოიალობითა და ელექტორალური ინტერესით უნდა აიხსნას. მცირე პარტიები კი ამ ველის გარღვევას ვერ ახერხებენ და უფრო მეინსტრიმული საკითხების დაყენებას და აქტუალიზებას ცდილობენ.

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა და პოლიტიკური მონაწილეობა

საჯაროდ გამოქვეყნებული პროგრამების უმრავლესობა, *ევროპული საქართველოს* და *ლელოს* გარდა, ცალკე თავად ან ქვეთავად არ გამოყოფს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების საკითხს.

პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზი ცხადყოფს, რომ პარტიები ხშირად არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების საჭიროებებს, წუხილებს და გამოწვევებს სიღრმისეულად არ იცნობენ. წინასაარჩევნო პროგრამები ხშირად ავლენს პარტიების ტრაფარეტულ და ზედაპირულ მოსაზრებებს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვისა და საჯარო-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის საკითხებზე. ამ კუთხით საგულისხმოა რამდენიმე პარტიის მიერ განსხვავებული ნარატივების და ტექსტების შემოთავაზების მცდელობა. თუმცა,

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ პროგრამებს ფრაგმენტულობა და ხელოვნურობას ახასიათებს.

არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვისა და საჯარო პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი რეალური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში რეგისტრირებული პოლიტიკური სუბიექტების პროგრამებში, უმთავრესად, ორი ცვლილების თეორიაა თვალშისაცემი: უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლება და დისკრიმინაციის ფაქტების აღმოფხვრა. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა პარტიის პროგრამა გამოსავალს უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებაში ხედავს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობისთვის. თუმცა, არც ერთი პოლიტიკური პარტია არაფერს ამბობს, ერთი მხრივ, ამ ჯგუფების სახელმწიფო ენის მცოდნე მოქალაქეების ხმის გაძლიერებაზე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო მეორე მხრივ, იმ ადამიანების პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველყოფაზე, რომლებმაც არ იციან და ვერ ისწავლიან სახელმწიფო ენას მათი სოციალურ-ეკონომიკური ყოფის, ასაკის ან საცხოვრებელი გარემოს გამო. ამ კუთხით, ხაზგასასმელია მმართველი გუნდის, *ქართული ოცნების პროგრამა*, რომელიც მხოლოდ ერთი წინადადებით ფარავს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების საჯარო-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხს და მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობაზე აკეთებს აქცენტს.

ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ცვლილების თეორიას, დისკრიმინაციის აღმოფხვრას და კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფას, თანაბრად იზიარებს ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა. *ევროპული საქართველო*, *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია* და *გირჩი* სწორედ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრაზე და კანონის წინაშე თანასწორობაზე აკეთებენ აქცენტს, სადაც მათი თეორიული ჩარჩოს ძირითადი სუბიექტები არიან ინდივიდები და მათი ინდივიდუალური თავისუფლება და არა სოციალური ჯგუფები და მათი კოლექტიური უფლებები. ეს პოლიტიკური პარტიები თითქმის არაფერს ამბობენ არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი, სოციალური და ძალაუფლებრივი ასიმეტრიისა და ამ საკითხების გადაჭრის სპეციალური პოლიტიკებისა და ინტერვენციების შესახებ. *ერთიანი ნაციონალური მოძრაობის* მიერ შემოთავაზებულ პროგრამაში ვკითხულობთ: „კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია და ამის გარანტი იქნება როგორც

დამოუკიდებელი სასამართლო, ისე პოლიტიკურად ნეიტრალური ადმინისტრაციული ორგანო.“ აღნიშნული განაცხადი პოლიტიკურად ნეიტრალური ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ, თითქოსდა თავის თავში გულისხმობს კულტურულ ნეიტრალურობასაც. თუმცა, ჩვენი მუშაობა არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებთან ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული ორგანოები არღვევენ რელიგიური და კულტურული ნეიტრალიტეტის პრინციპს და საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების დროს ხშირად ავლენენ ლოიალობას დომინანტური რელიგიური ინსტიტუტების ან სოციალური ჯგუფების მიმართ. ამ ვითარებაში ბუნდოვანი რჩება ის, თუ კონკრეტულად რა მეთოდებით და როგორ აპირებს *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა* უმცირესობების რეგიონებში და ზოგადად ქვეყანაში აღნიშნული ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას. პარტიის [პროგრამის](#) მიხედვით, ეფექტიანი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარების მიზნით, ყველა საჯარო დაწესებულებაში დისკრიმინაციის შესახებ საჩივრების განხილვის შიდა მექანიზმი შეიქმნება. ეს ნამდვილად საინტერესო ნაბიჯია დისკრიმინაციის ფაქტების აღმოსაფხვრელად, თუმცა, არსებულ რეალობაში, როცა არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები სისტემური ბარიერების შედეგად ხშირად ვერ საქმდებიან საჯარო სამსახურებში და არც სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ შექმნილი სერვისებია მათთვის ხელმისაწვდომი, ასეთი მექანიზმი უფუნქციო და გამოუყენებელი რჩება. ამ შემთავაზების ეფექტიანად მუშაობისთვის, უპირველს ყოვლისა, აუცილებელია არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების საჯარო სამსახურებში დასაქმებისა და ასევე, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის გაუცხოების მიზეზების აღმოფხვრისკენ მიმართული სტრატეგიის შექმნა.

ახალი პოლიტიკური ცენტრის - *გირჩის* ხედვიდან ნათლად ჩანს, რომ პარტია არ აღიარებს საქართველოს მოქალაქეების განსხვავებულ იდენტობებს და უმცირესობებზე საუბრის ნაცვლად ხაზს უსვამს საქართველოს მოქალაქეობას. მზარდი და პოლიტიკურად ინსტრუმენტალიზებული შოვინისტური ტენდეციების ფონზე გამაერთიანებელი ჩარჩოს შემოტანა ნამდვილად მნიშვნელოვანია, თუმცა, პარტიის ეს განაცხადი არადომინანტური ჯგუფების სპეციფიკური ჩაგვრის, გარიყულობისა და გამოწვევების მიმართ სიბრძნავს უფრო წარმოაჩენს.

ევროპული საქართველო საკუთარ [პროგრამაში](#) ძირითად აქცენტს დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე და ჩაგვრის და ძალადობის დასჯაზე აკეთებს. რაც, როგორ უკვე აღინიშნა, არსებული შოვინისტური და ეთნონაციონალისტური რიტორიკის

გაძლიერების ფონზე, შესაძლოა, პროგრესულ მიდგომად მოინიშნოს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დასჯაზე ორიენტირებული მიდგომები, საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით, ხშირად უფრო მეტად ზრდის შოვინისტურ და ეთნონაციონალისტურ რიტორიკას, მაშინ როდესაც *ევროპული საქართველო* არაფერს ამბობს იმ სტრუქტურულ სოციალური და პოლიტიკურ მიზეზებზე, რომელიც ამ შოვინიზმს და ეთნონაციონალიზმს კვებავს. ამასთანავე, *ევროპული საქართველო* საკუთარ პროგრამაში აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო უწყებებში უზრუნველყოფთ ისეთ სიტუაციას, როცა უმცირესობები არ დაიჩაგრებიან და მათთვის სხვა მოქალაქეებივით ხელმისაწვდომი იქნება სახელმწიფო სერვისები“. მაგრამ არაფერს ამბობს, თუ როგორ და რა მეთოდებით აპირებენ აღნიშნულის მიღწევას.

სტრატეგია აღმაშენებლის პროგრამის მიხედვით, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია მხოლოდ კანონმდებლობის დახვეწით არ არის შესაძლებელი. *სტრატეგია აღმაშენებლის* გადმოსახედიდან, საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპები და წინასწარგანწყობები თანასწორობის მიღწევის პროცესს ანელებს. მისასაღმებელია, რომ აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანება არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების თანასწორობის მისაღწევად სამოქალაქო სექტორის, კერძო სექტორის და სახელმწიფოს კოორდინირებულ მუშაობას კრიტიკულად მიიჩნევს და სახელმწიფოს პროაქტიულ და პრევენციულ ნაბიჯების საჭიროებაზე აკეთებს აქცენტს. *სტრატეგია აღმაშენებლის* მიხედვით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა არა მხოლოდ საზოგადოების ფართო მასებისთვის, არამედ საჯარო მოხელეებისა და ძალოვანი უწყებების თანამშრომლებისთვის, „რათა გაიზარდოს მათი ტოლერანტობა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ“. თუმცა, პარტია არაფერს ამბობს ამ ჯგუფების საჭიროებების, წუხილების და გამოწვევების შესახებ. ამასთანავე, პარტია საკუთარ საიტზე გამოქვეყნებულ [პროგრამაში](#) ცალკე თემად ან ქვეთემად არადომინანტური ჯგუფების საკითხებს არ გამოყოფს. უფრო მეტიც, საკუთარ პროგრამაში პარტია არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებს ერთხელაც კი არ ახსენებს.

ლეიბორისტული პარტიის მიერ შემოთავაზებულ ხედვაში, მიუხედავად მათი იდეების ფრაგმენტულობისა, მკვეთრად ჩანს ახლებური ხედვების შემოტანის მცდელობა. აღსანიშნავია, რომ პარტია გამოყოფს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რეგიონებში მომუშავე მასწავლებლების მიერ ორივე ენის

(სახელმწიფო და უმცირესობების) ცოდნის საკითხს. ამასთანავე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებისთვის 5%-იანი კვოტის დაწესების საკითხი სახელმწიფოს მიერ გასაცემ გრანტებზე და დაფინანსებებზე. გარდა ამისა, არსებითად ახლებური მიდგომაა ლეიბორისტული პარტიის მიერ შემოთავაზებული ხედვა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით, რაც ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო საიტის და ელექტრონულ მომსახურეობის სერვისის ადაპტირებას უმცირესობებისთვის და არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებისთვის.

ლელო საქართველოსთვის [პროგრამის](#) მიხედვით, პარტია გეგმავს არადომინანტურ ეთნიკურ ჯგუფებს აქტიურ ჩართვას ქვეყნის პოლიტიკაში, მათთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და ქართული ენის სწავლების ხელშეწყობას. აღსანიშნავია, რომ ლელოს მიხედვით, მათ მიერ შემოთავაზებული 10-წლიანი პროგრამის შედეგად „ქართული ენის არმცოდნეთა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 1%-ზე ნაკლები იქნება.“ თუმცა, აღნიშნულ გეგმაში მინიშნების დონეზეც კი არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი განათლების ინსტიტუციური სისტემების გარეთ დარჩენილი მოსახლეობისთვის (საშუალო და საშუალოზე ზედა ასაკის ადამიანები) ქართული ენის სწავლება. ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას. ხშირად, განსაკუთრებით თვითმმართველობების დონეზე, არადომინანტური ეთნიკურ ჯგუფები საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ვერ ერთვებიან სახელმწიფო ენის არცოდნის გამო, ხოლო, ლელო არაფერს ამბობს, თუ რა მექანიზმებით გაზრდის არადომინანტური ჯგუფების წარმომადგენლების პოლიტიკურ მონაწილეობას სახელმწიფო ენის არცოდნის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია ლელოს განაცხადი, რომ „ლელო შეცვლის პოლიტიკის ვექტორს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით - სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველად შეფასდება არა უმცირესობების წარმომადგენელთა „ზედმეტი“ პოლიტიკური აქტიურობა (როგორც ეს ათწლეულების განმავლობაში გრძელდება), არამედ მათი ნაკლები ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და მმართველობის სისტემაში.“ აღნიშნული საკითხის ასეთი ფორმულირება ტრანსფორმაციული და ახლებური ხედვაა ქართულ პოლიტიკასა და პარტიების პროგრამებში. თუმცა, ასევე ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია შეიქმნას ინსტიტუციური და პოლიტიკური გარანტიები, რომელიც ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობასა და

სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციისა და ნდობის გაზრდას რეალურად შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ *ლელო* კრიტიკულად აფასებს *შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს* და *რელიგიის საკითხთა სააგენტოს* საქმიანობებს. *ლელოს* პროგრამის მიხედვით, სამოქალაქო თანასწორობის საკითხები უნდა გამოეყოს შერიგების სამინისტროს და შეიქნას *სამოქალაქო თანასწორობის სააგენტო*, რომელიც იმუშავებდა არადომინანტური ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების საკითხებზე. ჩვენი შეფასებით, ეს მიდგომა საინტერესოა, თუმცა, ის დამატებით დაზუსტებებს საჭიროებს პარტიის მხრიდან, მათ შორის, ახალი სააგენტოს მანდატისა და მოწყობის შესახებ და აგრეთვე, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციებთან ურთიერთობის და თანამშრომლობის სტრატეგიებთან დაკავშირებით.

მისასალმებელია, *ლელოს* შემოთავაზება არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებისთვის მათი მშობლიური ენის და ლიტერატურის ხარისხიანი სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი დაპირება დიდი ხანია განათლების სამინისტროს აქვს გაცემული, საინტერესო იქნებოდა *ლელოს* განმარტება, თუ ისინი სად ხედავენ პრობლემას არსებულ სიტუაციაში და რატომ არ შექმნილა ასეთი სახელმძღვანელოები დღემდე, რის შედეგადაც, *ლელო* განმარტავდა, თუ თავად რას და როგორ შეცვლიდა.

ლელოს ერთ-ერთი შემოთავაზების მიხედვით, საქართველოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად საჯარო სკოლებში შემოვა ახალი სასკოლო საგანი - „მრავალფეროვანი საქართველო“. თუმცა, არაფერია ნათქვამი, თუ რით იქნება განსხვავებული ეს სასკოლო საგანი უკვე არსებული სამოქალაქო განათლების საგნისგან, რომელსაც იგივე მიზნები აქვს.

აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის პრობლემაზე ბოლო წლებში გახმოვანებული არაერთი კრიტიკისა და უკმაყოფილების მიუხედავად, პოლიტიკური პარტიების პროგრამების უმეტესობა ამ საკითხზე საგანგებო ხედვებსა და რეფორმისტულ იდეებს არ შეიცავს. პარტიები არ ეხებიან არც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების დონეებზე

საკონსულტაციო მექანიზმების არარსებობის პრობლემას⁴ და არც უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ სპეციალური მექანიზმების საკითხებს, მაგალითად, აღიარებულ მექანიზმებს, როგორცაა კვოტები, დარეზერვებული ადგილები, დაფინანსების გზით პარტიების წახალისება თუ ეთნიკური პარტიების დაშვება.⁵

ცალკე უნდა აღინიშნოს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების ინფორმაციული იზოლაციისა და გაუცხოების საკითხი, ასევე ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე, მათ საჭიროებებზე და ინტერესებზე ორიენტირებული გაშუქების პრობლემები საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან⁶, რომელიც კიდევ ერთხელ აშკარად გამოჩნდა პანდემიისა და ყარაბაღში მიმდინარე სამხედრო ესკალაციის დროს. სამწუხაროდ, ეს საკითხები არ მოხვდა პოლიტიკური პარტიების ინტერესთა სფეროში.

კიდევ უფრო არაღიარებული და უხილავია ეთნიკური უმცირესობების განსაკუთრებული მოწყვლადობის საკითხები და სახელმწიფო სერვისებზე, სასიცოცხლო რესურსებზე და სოციალურ ინფრასტრუქტურაზე ამ ჯგუფების შეზღუდული წვდომა. პარტიები, სამწუხაროდ, ვერ იაზრებენ იმ მოცემულობას, რომ პოლიტიკური და კულტურული იზოლაცია არა მხოლოდ დემოკრატიულ პროცესებს აზიანებს, არამედ თავად ამ ჯგუფების სოციალურ განვითარებას აფერხებს, მათ კიდევ უფრო მეტად აღარბებს და აშკარად არასახარბიელო სოციალურ გარემოს უქმნის.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ პარტიების ძირითადი ნარატივები მეტწილად მიმართულია არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებისთვის ენის სწავლებისკენ, დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენის და დასჯისკენ და ამდენად, პარტიები უფრო მოძველებულ პარადიგმებს იყენებენ. გარდა ცალკეული შემთხვევებისა, არც ერთი პოლიტიკური პარტია არ საუბრობს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების

⁴ ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმები - რეალობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება, EMC, 2020, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-sakonsultatsio-mekanizmebi-realoba-sakartveloshi-da-saertashoriso-gamotsdileba>

⁵ პოზიტიური მექანიზმები უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის მხარდასაჭერად – საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა, EMC, 2020, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/pozitiuri-mekanizmebi-umtsiresobebis-politikuri-monatsileobis-mkhardasacherad-saertashoriso-gamotsdilebis-mimokhilva>

⁶ ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია, EMC, 2020, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-sachiroebibi-sazogadoebrivi-mautsqebeli-da-pandemia-1>

რეალური საჭიროებების, წუხილების და გამოწვევების შესახებ, რომელიც არა ერთ კვლევასა⁷ და რეკომენდაციების პაკეტში⁸ არის წარმოდგენილი. ამასთან, არც ერთი პარტია არ გვთავაზობს ისეთ კონკრეტულ მექანიზმებს, რომელიც არა მხოლოდ ტრაფარეტულად ისაუბრებდა ქვეყანაში თანასწორობის მიღწევაზე, არამედ შექმნიდა ახალ ხედვებს, პოლიტიკებს და მექანიზმებს ეთნიკური უმცირესობების საჯარო ცხოვრებაში რეალური მონაწილეობისთვის, სამართლიანი პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნისა და მულტიკულტურული გარემოს მშენებლობისთვის. პარტიების ხედვები არ შეიცავს აქამდე გატარებული ინტეგრაციის პოლიტიკის სტრუქტურულ, კრიტიკულ ანალიზს და ნიუანსირებულ ხედვებს ცვლილებების, ახალი ალტერნატივებისა და გზების შესახებ.

კონფლიქტის რეგიონებში და მახლობლად მცხოვრები ადამიანების უფლებები და კონფლიქტის ტრანსფორმაცია

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და კონფლიქტის მოგვარების საკითხი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიებში გამოტოვებული არ არის, თუმცა, ისინი ვერ გვთავაზობენ არსებითად ახალ, ტრანსფორმაციულ მიდგომებს, რომელიც კონფლიქტების მოგვარების ეტაპობრივ და რეალისტურ ხედვებს გააჩენდა. ქართული ოცნების პოლიტიკური ხედვა კონფლიქტის მოგვარებასთან და იქ ადამიანების უფლებების დაცვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით პრაქტიკულად არ ჩანს მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში. მმართველი პოლიტიკური გუნდი აპირებს გააგრძელოს უკვე არსებული შერიგების და ჩართულობის პოლიტიკა და გაზარდოს სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის. მმართველ პოლიტიკურ გუნდს არ აქვს ხედვა, თუ კონკრეტულად რა ზომებს უპირისპირებს „მცოცავი ოკუპაციის“ პრობლემას და როგორ პასუხობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ჰუმანიტარულ კრიზისს. ქართული ოცნების მართველობის პერიოდში გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვების და იზოლაციის შემთხვევების გახშირებამ ჰუმანიტარული კრიზისის არაერთი ტალღა

⁷ კვლევის შედეგები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ, OSGF, 2019, ხელმისაწვდომია: <https://osgf.ge/kvlevis-shedegebi-etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-shesakheb/>

⁸ სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის შესახებ შემუშავებული რეკომენდაციები, 2020, ხელმისაწვდომია: <http://ombudsman.ge/geo/rekomendatsiebi/sakhalkho-damtsvelma-erovnuli-umtsiresobebis-uflebebis-datsvisa-da-samokalako-integratsiis-shesakheb-shemushavebuli-rekomendatsiebi-tsaradgina>

გააჩინა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომელიც არა მხოლოდ ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ქალაქებს და დაბებს, არამედ, აფხაზებს და ოსებსაც შეეხოთ. ამ გამოცდილების გათვალისწინებით გასაკვირია, როცა კვლავ ბუნდოვანი რჩება მმართველი გუნდის ხედვა, თუ როგორი აპირებს მართოს მსგავსი კრიზისები, რა მექანიზმებით უნდა გააუმჯობესოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა და ზოგადი ჰუმანიტარული სიტუაცია.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უფლებების დაცვის ახალი ხედვებით არც სხვა პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები გამოირჩევა. ოპოზიციური პარტიების გეგმები ამ მიმართულებით კვლავ ითვალისწინებს არალიარების პოლიტიკის გაგრძელებას, „ოკუპაციის“ როგორც ტერმინის შენარჩუნებას საერთაშორისო დოკუმენტებში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორებთან აქტიური ადვოკატირების გაგრძელებას რუსეთისთვის, როგორც ოკუპანტი ძალისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. ასევე გათვალისწინებულია ქენევის მოლაპარაკებების ფორმატის შენარჩუნება, დევნილებისთვის დასაქმების და საცხოვრისის პრობლემის მოგვარების სხვადასხვა ინიციატივა. პოლიტიკური პარტიები „მცოცავი ოკუპაციის“ შესაჩერებლად საოკუპაციო ხაზთან უსაფრთხოების ზომების გაზრდას, პატრულირების გაძლიერებას, ვიდუოთვალთვალის დაწესებას გეგმავენ. წინასაარჩევნო პროგრამებში ასევე საუბარია ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სიის ამოქმედებაზე, რომელიც მცოცავი ოკუპაციის შეჩერების ერთ-ერთ მექანიზმადაც ესახებათ. გარდა ამისა, *სტრატეგია აღმაშენებლის* და *ლელოს* პროგრამები აღიარებენ ნდობის აღდგენის მნიშვნელობას და პირდაპირი დიალოგის დაწყებას აფხაზებთან და ოსებთან. თითქმის ყველა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია თანხმდება იმაზე, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლა და შესაბამისი ბენეფიტების გაზიარება/შეთავაზება აფხაზებისთვის და ოსებისთვის კონფლიქტის მოგვარების წინაპირობაა.

პოლიტიკურ პარტიებს კვლავ უჭირთ კონფლიქტის მოგვარებისთვის გარდამტეხი ინიციატივების შეთავაზება. პოლიტიკურ პარტიებს კვლავ არ აქვთ სათანადოდ გააზრებული წინა წლებში მსგავსი მექანიზმების წარმატების, თუ წარუმატებლობის მიზეზები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუდმივად ცვალებადი პოლიტიკური კონტექსტები და განწყობები. საქართველოს ეკონომიკური წინსვლა და ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა, ცხადია, ამ პროცესში მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გადამწყვეტი მხარეებს და თემებს შორის ნდობის და მშვიდობის მშენებლობის

პროცესში. პოლიტიკურ ელიტებს ჯერაც არ გაუაზრებიათ, რა ხარვეზები და პრობლემები აქვს ჟენევის საერთაშორისო ფორმატს, რომელიც 12 წლიანი მუშაობის შემდეგაც ვერ იძლევა გარდამტეხ პოზიტიურ ცვლილებებს. ამასთან აშკარაა, რომ ვერც ეს ფორმატი და ვერც მისი მთავარი მიღწევა, ინცინდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი (IPRM) ვერ აღმოჩნდა საკმარისი ჰუმანიტარული კრიზისის საპასუხოდ.

პოლიტიკური პარტიები ასევე ვერ გვთავაზობენ, თუ რა მექანიზმებით აპირებენ ადამიანის უფლებების დაცვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე და არც შესაბამისი საერთაშორისო მექანიზმების დანერგვაზე არსებობს ხედვა. აქვე ნიშანდობლივია, რომ როდესაც უფლებების დაცვის პრობლემაზე ვსაუბრობთ, აქცენტი მეტწილად კეთდება ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციაზე და უფლებების დარღვევის პრაქტიკაზე, რაც, ცხადია, გვაშორებს ნდობის აღდგენის და შერიგების მიზნებს, რაც გამაერთიანებელი იდეის მხარდაჭერას ითხოვს.

ამდენად, პოლიტიკური პარტიების პროგრამები დეოკუპაციისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პოლიტიკის შესახებ მეტწილად მოძველებულ ხედვებს ეფუძნება და გამოტოვებულია ის ცვალებადი პოლიტიკური და სოციალური გარემო, რომელიც ამ რეგიონებში არსებობს. პროგრამები ასევე არ ეფუძნება ადგილობრივი კონტექსტიდან ამოზრდილ ახალ პოლიტიკურ ალტერნატივებსა და ხედვებს, რომელიც კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის მშენებლობას და შერიგებას, ასევე ორივე მხარეს ადამიანის უფლებების დაცვასა და კეთილდღეობას შეუწყობდა ხელს.

გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები

გენდერული თანასწორობა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

2020 წლის არჩევნებში დარეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტთა მხრიდან გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით, გარკვეულწილად, პოზიტიური ცვლილებები შეიმჩნევა, თუმცა, პარტიათა დიდი ნაწილი კვლავ ვერ იაზრებს გენდერული თანასწორობის მთავარ ადგილს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რელევანტურ არეალში და როგორც წესი, ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებს ვიწრო სპეციფიკის, ზედაპირული და დეკლარაციული აქტივობებით პასუხობს. შესაბამისად, გენდერული თანასწორობა პარტიათა პროგრამასა თუ

ხედვებში შემოიფარგლება მხოლოდ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საჭიროების ხაზგასმასა და პარტიულ პოლიტიკაში მათი როლის გამოყოფის დეკლარირებულ მხარდაჭერაში.

საარჩევნო სუბიექტთა გარკვეული ნაწილი, გენდერული თანასწორობის ფართო მიზანს მხოლოდ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხის ქვეშ განიხილავს, მათ შორის, *ევროპული საქართველო*, *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა* და *გირჩი*, შესაბამისად, ამ პარტიათა პროგრამები არ ეხმიანება სამომავლო ნაბიჯებს და სპეციფიკურ ზომებს, რომლებიც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად უნდა გადაიდგას და მხოლოდ საკითხის ზოგად მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

ქალთა უფლებების დაცვის მხრივ დამატებით ასპექტებს გამოყოფს საარჩევნო სუბიექტი *სტრატეგია აღმაშენებელი*, რომლის პროგრამა შეეხება არა მხოლოდ ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას, არამედ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფი ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის გენდერული საბჭო. პროგრამაში ასევე აღნიშნულია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების მნიშვნელობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. თუმცა, ამ პარტიის პროგრამაც მხოლოდ ერთი წინადადებით ეხება ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემასა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას.

საინტერესოა, რომ პარტიათა გარკვეული ნაწილი (*გირჩი*, *ლეიბორისტული პარტია*) ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად, ეწინააღმდეგება კვოტირების მექანიზმს და მის გაუქმებას ჰპირდება ამომრჩეველს, რაც ასევე იმის მიმანიშნებელია, რომ აღნიშნულ პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ გააზრებული ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით არსებული სტრუქტურული პრობლემების ძირეული მიზეზები.

ნიშანდობლივია, რომ მმართველი პოლიტიკური პარტია *ქართული ოცნება* აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოზიციას და პოლიტიკურ ხედვას არ აფიქსირებს.

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა

მიუხედავად ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების მასშტაბისა და პრობლემის მნიშვნელობისა, არჩევნებში დარეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტთა დიდი ნაწილი ქალთა საკითხების პერსპექტივიდან სრულიად გამოტოვებს ქალთა მიმართ ძალადობასთან, ოჯახში ძალადობასთან და ფემიციდთან ბრძოლის მნიშვნელობას, ისევე, როგორც მის გამომწვევ სტრუქტურულ ფაქტორებსა და მიზეზებს (*ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, გირჩი, ლეიბორისტული პარტია, ევროპული საქართველო*). არც ერთი პოლიტიკური პარტიის დღის წესრიგში არ გვხვდება ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, სექსუალური შევიწროება და გაუპატიურება. ასევე გამოტოვებულია მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის ფსიქო-სოციალური საჭიროებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებიდან.

ქალთა მიმართ ძალადობისგან დაცვას მხოლოდ საარჩევნო სუბიექტი - *ლელო* ეხმიანება, რომელიც ოჯახში ძალადობასთან უკეთ გამკლავებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. პროგრამა ასევე ეხება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირების საჭიროებას სასწავლო გეგმებში, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის ენებზე. პროგრამა ასევე ეხება პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების ფუნქციურობის პრობლემატიკას და მისი დახვეწის და ერთიანი სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის ამუშავების მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

პარტია *სტრატეგია აღმაშენებელი* ასევე ახსენებს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის მნიშვნელობას, თუმცა, დამატებით არც ერთ აქტივობას ან სტრატეგიულ ხედვას არ გამოყოფს.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალები წარმოადგენენ ეკონომიკისა და სოციალური სტრუქტურის სასიცოცხლო ნაწილს, რაც სოციუმის ერთობას ქმნის, თუმცა, მათ მიერ გაწეული შრომა კაცების შრომასთან შედარებით ნაკლებად არის დაფასებული. ეს ვითარება უკავშირდება იმ შესაძლებლობებსაც, რომელიც მათთვის არის ხელმისაწვდომი. „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში ქალთა მონაწილეობა შრომით ბაზარზე კაცებთან შედარებით დაბალ ნიშნულზეა. ამასთან, ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ქალთა წილი ორჯერ აღემატება კაც

დასაქმებულთა იმავე მაჩვენებელს.⁹ აღნიშნული ფაქტორი ზოგადად განპირობებულია ქალთა მიერ გაწეულ აუნაზღაურებელი სამინაო და ზრუნვის შრომის დისპროპორციულად დიდი ტვირთით. შსო-ს მიხედვით, გენდერული სეგრეგაცია შრომით ბაზარზე საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადენს. ქალები, მიუხედავად მათი კვალიფიკაციისა და განათლებისა, დომინირებენ საქმიანობის არაკომერციულ სფეროებში, სადაც მათი შემოსავალი არსებითად დაბალია.¹⁰

მიუხედავად ზემოთ დასახელებული პრობლემებისა, რაც სახელმწიფოს მხრიდან აქტიური და ეფექტური ზომების მიღებას საჭიროებს, არჩევნებში დარეგისტრირებულ საარჩევნო პარტიათა დიდ ნაწილს არ აქვს გააზრებული ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობა, რაც მათ პროგრამებში აღნიშნული საკითხების არარსებობაში გამოიხატება.

ეკონომიკური გაძლიერების კონტექსტში ქალთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობის მნიშვნელობას ერთ წინადადებას უთმობს *სტრატეგია აღმაშენებელი*. სხვა პოლიტიკური პარტიები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ საერთოდ არ საუბრობენ, საგულისხმოა ისიც, რომ არც მმართველი პარტია, *ქართული ოცნება* აფიქსირებს საკუთარ პოზიციას აღნიშნულ საკითხზე .

საკითხს შედარებით დეტალურად მხოლოდ პოლიტიკური პარტია *ლელო* ეხება, რომელიც დასაქმებულთა ხელშეწყობისთვის ბაგა-ბაღებისა და შშმ ბავშვებისა და მოზარდების დღის ცენტრების უკეთეს ადმინისტრირებას უსვამს ხაზს. ასევე ცალკე გამოყოფს სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროებებს. თუმცა, პარტია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მთავარ მიმართულებად „ბიზნეს-უნარების დაუფლების სპეციალურ პროგრამებს“ მიიჩნევს, რაც არ პასუხობს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სტრუქტურულ პრობლემებს, მათ შორის, შრომის კოდექსის დაბალ გენდერულ მგრძობელობას და დასაქმებულთა ინტერესებზე მორგებული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული რეგულირების აუცილებლობას.

ქალთა ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

⁹ World Economic Forum, The Global Gender Gap Report 2018. Available at http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2018.pdf.

¹⁰ ILO, Direct Request (CEACR) - adopted 2013, published 103rd ILC session (2014). Available at https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:13100:0::NO::P13100_COMMENT_ID:3142602

ქალთა ჯანმრთელობის უმთავრეს ასპექტს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ჩარჩო წარმოადგენს, რომლის ეფექტური განხორციელება არსებითი მნიშვნელობისაა ქალებისა და გოგონების კეთილდღეობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების დაცვისთვის საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ 2017 წელს დაამტკიცა დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სტრატეგია, მისი პრაქტიკაში დანერგვა სუსტად მიმდინარეობს, ქალებს არ მიუწვდებათ ხელი ხარისხიან სერვისსა და ინფორმაციაზე, რამაც მათი ჯანმრთელობა, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დააყენოს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიათა პროგრამები პასუხობდეს არსებულ კრიტიკულ გამოწვევებს, თუმცა, როგორც პარტიათა ხედვები და პროგრამების შინაარსი აჩვენებს, ამ საკითხებს თითქმის არც ერთი პარტია პრიორიტეტულად არ გამოყოფს და არ ახსენებს.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხზე საკუთარ პროგრამაში გარკვეულ საკითხებს ეხება საარჩევნო სუბიექტი *ლელო*, თუმცა დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ ასევე ზოგადია და არ იძლევა შესაძლებლობას მათ მიერ დაგეგმილი კონკრეტული ნაბიჯები ქალთა და გოგონათა ჯანმრთელობის დაცვის მთავარ ასპექტებთან კავშირში შეფასდეს.

ამდენად, ქალთა ჩაგვრისა და უფლებების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და ბოლო პერიოდში გადადგმული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების მიუხედავად, ქალთა ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისა და დაცვის საკითხები, რომელიც ქალთა ემანსიპაციისა და მათ მიმართ სამართლიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოს შექმნის საფუძველია, პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილის ყურადღების მიღმა რჩება. გენდერული თანასწორობის საკითხის მეინსტრიმიზაციის მიუხედავად, რთულია ითქვას, რომ პოლიტიკური პარტიების ხედვები და პროგრამები არსებითად ფემინისტური სამართლიანობის იდეებზე დგას. ამგვარი კონცეპტუალური შინაარსისგან და მგრძობელობისგან პროგრამები დაცლილია. სწორედ ამიტომ, პარტიები ქალთა ემანსიპაციის პროცესისთვის ახალ იდეებს და ალტერნატივებს ვერ ქმნიან და მეტწილად დომინანტურ ხედვებს და პერსპექტივებს იმეორებენ. ეს გამეორებაც ზედაპირული და ფრაგმენტულია.

ლეგბტქ პირთა უფლებების დაცვა

პარტიათა უმრავლესობა წლების განმავლობაში ისეთ სპეციფიკურ მოწყვლად ჯგუფებს, როგორცაა ლგბტქ პირები, გამოტოვებდა პოლიტიკური დღის წესრიგიდან, მეტიც, პოლიტიკური პარტიები და სუბიექტები თავად უწყობდნენ ხელს ლგბტქ პირთა მიმართ სტიგმისა და სტერეოტიპების გაძლიერებას პოლიტიკური ჰომოფობიის გზით, რამაც აღნიშნულ ჯგუფში პოლიტიკურ პარტიათა მიმართ არსებითი უნდობლობა წარმოშვა.

ლგბტქ ადამიანები დღეს კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად და დისკრიმინირებულ ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოში. მიუხედავად კანონმდებლობის მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებისა, არსებითი ცვლილებები საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და ნეგატიური წინასწარგანწყობების შემცირების თვალსაზრისით არ შეიმჩნევა. აღნიშნული კი ხელს უწყობს ლგბტქ პირთა გარიყვას საჯარო სივრციდან, რაც ასევე ძლიერდება ულტრაკონსერვატიული, ულტრამემარჯვენე და ძალადობრივი ჯგუფების მხრიდანაც, რომლებიც პირდაპირ და აშკარად უპირისპირდებიან ლგბტქ ადამიანებს და ყველა სხვა ემანსიპატორულ პოლიტიკას, რომელიც ადამიანის ავტონომიასა და მისი ცხოვრების თავისუფლად განხორციელების საკითხებს მოიცავს (მაგ. აბორტის უფლება). აღნიშნულ პრობლემებს კი სახელმწიფოს პრევენციული პოლიტიკა არ პასუხობს, რაც პრაქტიკაში ლგბტქ პირთა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვისა და მათი დაუცველობის განცდას ზრდის.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დარეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტთა პროგრამები და ხედვები თითქმის არ მოიცავს მოსაზრებებს თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ლგბტქ ადამიანთა მდგომარეობა და რა აუცილებელი ზომებია გასატარებელი მათი უფლებების ეფექტურად დასაცავად. საარჩევნო სუბიექტთა ხედვის თვალსაზრისით სამი ტიპის ტენდენცია შეიმჩნევა, პარტიები, რომლებიც საერთოდ არ ახსენებენ ლგბტქ პირებს უმცირესობათა ჯგუფებში და არც სხვა გადამკვეთი საკითხის ქვეშ მოიცავენ მათ (*ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ლეიბორისტული პარტია*); პარტიები, რომლებიც ზედაპირულად ახსენებენ აღნიშნულ ჯგუფებს (*სტრატეგია აღმაშენებელი, ევროპული საქართველო*) და პარტიები, რომლებიც, შედარებით დეტალიზებულად აყალიბებენ ლგბტქ პირთა უფლებების დაცვის სტრატეგიას (*ლელო*).

შესაბამისად, როგორც აღინიშნა, ლგბტქ პირთა კომპლექსური საჭიროებები სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი პარტიათა საარჩევნო პროგრამებში. საინტერესოა, რომ *სტრატეგია აღმაშენებელი* სპეციფიკურად ეხება რადიკალურ და

ულტრამემარჯვენე ჯგუფებს – მათ ქმედებებზე სამართლებრივი რეაგირების აუცილებლობას უსვამს ხაზს და აგრეთვე მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს.

პოლიტიკური პარტია *ლელო* შედარებით დეტალიზებულად მიმოიხილავს ლგბტქ ადამიანთა წინაშე არსებულ პრობლემატიკას, მათ შორის, ლგბტქ პირთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვას, პრევენციული პოლიტიკის გაძლიერებას ძალადობასთან მიმართებით, ისევე როგორც, ჯგუფის სოციო-ეკონომიკური უფლებების განხორციელების ხელშეწყობას. აღსანიშნავია, რომ *ლელო* არის ერთადერთი პარტია, რომელიც გამოყოფს ტრანს ადამიანთა სპეციფიკურ საჭიროებებს, მაგალითად, ტრანსსპეციფიკურ ჯანდაცვას და გენდერის სამართლებრივი აღიარების რეგულირებას.

ამდენად, ლგბტქ ადამიანების საჭიროებების და უფლებების მიმართ ინტერესი პოლიტიკური პარტიების მხრიდან კვლავ დაბალია და მათი დიდი ნაწილი კვლავ არაღიარების და მათი გაუჩინარების მიდგომას იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ ლგბტქ-ი საკითხების გარშემო იმართება საზოგადოებრივი დისკუსიები და კონფლიქტებიც ხშირია, პარტიებს კი, ემანსიპატორული დისკურსების და თანასწორობის იდეების მხარდაჭერასა და კონსტრუქციული საზოგადოებრივი დისკუსიების ხელშეწყობისას მნიშვნელოვანი როლი და რესურსი შეიძლება ჰქონდეთ, ისინი ამ საკითხების მიმართ მაინც სიჩუმის სტრატეგიას მიმართავენ. ლგბტქ ადამიანების მძიმე უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, ამ მიმართულებით პოლიტიკის ცვლილების კონკრეტული ხედვები პარტიების დიდ ნაწილს არ აქვს, რაც ზოგადად, თანასწორობის პოლიტიკის მიმართულებით მათი პროგრამების პრობლემაა, და ასევე შეიძლება აიხსნას ლგბტქ ადამიანების, მათი უფლებებისა და საჭიროებების არაღიარების ძირითადი ტენდენციით.

